საკონკურსო განცხადება

მცხეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს „1. სოფ. ნაოზის ამბულატორიის მოწყობის; 2. სოფ. ნაოზის სანიაღვრე არხებისა და წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე“.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას კონკურსანტი პირის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს:

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ნაოზის ამბულატორიის საპროექტო დოკუმენტაციაში

1. განმარტებითი ბარათი;
2. ფოტომასალა;
3. სიტუაციური რუკა 1:2000 მასშტაბი;
4. სარემონტო სამუშაოების მოცულობათა უწყისი;
5. შენობის ზუსტი საკადასტრო აზომვითი ნახაზი.
6. შენობის აზომვითი ნახაზი.
7. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
8. ხაზოვანი ნაგებობების სიტუაციური ნახაზი.

საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის კონკურსანტი პირი იხდის საფასურს -50 ლარს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: 220101757

მიმღები: ს.ს.ი.პ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მიმღების ანგარიში №10591718543

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

1. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

2. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
3. კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
4. საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ზემოაღნიშნული მონაცემების დარღვევით გაცემული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კონკურსანტი პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადების წარდგენის ვადებია გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღე, ხოლო წინადადების მიღებიდან 3 სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინონ „წინა ესკიზური პროექტები", საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო წინანადების ფასი, საბოლოოდ საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლარად და პლიუს ელექტრონული ვერსია, ხოლო გამარჯვებულმა კონკურსანტმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღეში წარმოადგინოს დასრულებული პროექტი.

1. სოფ. ნაოზის ამბულატორიის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სავარაუდო ღირებულებაა 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი, ხოლო 2. სოფ. ნაოზის სანიაღვრე არხებისა და წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სავარაუდო ღირებულებაა 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი.

საკონკუსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ზემოთმითითებულ ყველა პირობას, შესაბამისი დოკუმენტი არ განიხილება.

მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის ქ. №73

ტელ: 51-26-96